

ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის №253-ს ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ.ახმეტა

21.08.2020 წ

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ვანო ნასყიდაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

სატენდერო კომისიის წევრები:

მარინა მაისურაძე - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

გიორგი ქორეულაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

რამინი ნადიბაიძე - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

მარიამ სააკაძე- ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

თამარ ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

დღის წესრიგი:

სატენდერო კომისია ეყრდნობა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარი 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებას და 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმით ფლობს სახსრებს ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაძენად. შესაბამისად სხდომას დასამტკიცებლად წარედგინა ზემოაღნიშნული სამუშაოების შესაძენად სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

კომისიამ მოისმინა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება იმის შესახებ, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე არსებული ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვისათვის საჭიროა

დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია სხდომას განსახილველად წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა მარიამ სააკაძემ.

კომისიამ დაადგინა:

1.დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია 2020 წლის 21 აგვისტოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №1-ის დანართის პირობების/მოთხოვნების გათვალისწინებით.

2.შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 217788 ლარი დღგ-ს ჩათვლით- 100% სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1578 განკარგულების შესაბამისად,

3.სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე)NAT ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში <http://procurement.gov.ge> .

4.წინამდებარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარი 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების I თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ატვირთულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ვანო ნასყიდაშვილი

სატენდერო კომისიის წევრები:

მარინა მაისურაძე

გიორგი ქორეულაშვილი

ბიულეტინი რამინი ნადიბაიძე

სატენდერო აპარატის წევრები:

მარიამ სააკაძე

თამარ ქარუმაშვილი